

კომუნისტური სსიპი

1990
ნანვარი
№7 (6234)
16
სამუშაოთი
გაზეთი დაარსდა 1923 წლის 10 მაისს

საქართველოს კპ ცენტრის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
КОМУНИЗМИС СХИВИ орган Цагерского райко ма КП Грузии и райсовета народных депутатов

თათბირი საქართველოს კომპარტიის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

11 იანვარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ამხანაგებმა გ. გუმბარძემ და ნ. ჭითანავამ გამართეს თათბირი საქართველოს სსრ მინისტრებისა და სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეების მონაწილეობით. განაღვივდა რესპუბლიკაში, მის დედაქალაქში შექმნილი რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება. აღინიშნა, რომ ასეთ დროს ყველა სამინისტრომ და უწყებამ, მათმა ყველა სამსახურმა, ყველა ხელმძღვანელმა განსაკუთრებული მოზიდულობა, ოპერატიულობა,

პასუხისმგებლობის უმაღლესი გრძობა უნდა გამოავლინონ, გამოიყენონ მუშაობის არაორდინარული მეთოდები და ფორმები, რათა დაძაბულ ვითარებაში ნორმალურად ფუნქციონირებდნენ შრომითი კოლექტივები, სასწავლებლები, მოსახლეობამ არ იგრძნოს სირთულეები სავაჭრო და სატრანსპორტო მომსახურებაში, კვების პროდუქტებით მომარაგებაში, უნდა მიაღწიონ ელექტროენერჯის მკაცრ მომჭირნეობას, არ უნდა დაუშვან, რომ ცალკეულ პირთა დაუდევრობითა და უპასუხისმგებლობით

ხელოვნურად შეფერხდეს სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგების ქმედუნარიანობა. აუცილებელია მაქსიმალური მოზიდულობა, შრომითი კოლექტივების მრავალეროვანი შემადგენლობის სიმშვიდე, დარწმუნება და სიმტკიცე, მაქსიმალური კეთილგონიერების გამოჩენა, რათა ხელი შეეწყოს მდგომარეობის დროულ ნორმალიზაციას.
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.



საპარტიველოს კომპარტიის ცენტრის რაიკომის სხდომათა დარბაზში გაიმართა ცენტრის სახალხო დეპუტატთა მეოცე მოწვევის რაიონული საბჭოს მეცამეტე სესია დღის წესრიგით:

1. ორგანიზაციული საკითხი.
2. ცენტრის რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმისა და 1989 წლის გეგმის შესრულების შესახებ.

პირველ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ **ო. მ. ჭაბუკიანი**.

სესიამ რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგის მოვალეობისაგან პენსიაში გასვლასთან დაკავშირებით გაანთავისუფლა **ზ. ვ. დამნიანი**.

სესიამ რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგედ დამტკიცა დეპუტატი **რამაზ რაფიელიძე** კოპალიანი, განათლებით ეკონომისტი, რომელიც მანამდე მუშაობდა საქართველოს ალკ ცენტრის რაიკომის პირველ მდივანად.

სესიამ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის წევრის მოვალეობისაგან სამუშაოდ და

საცხოვრებელი რაიონიდან წასვლის გამო გაანთავისუფლა **ტ. ზ. ალავეცი**.

სესიამ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის წევრად აირჩია სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე **კობა ლავრენტის ძე ფრუიძე**.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე—ცენტრის რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმისა და 1989 წლის გეგმის შესრულების შესახებ—მოსხენება გააკეთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ, საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ **კ. პ. ხეცურია**.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ცენტრის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ, დეპუტატმა **ზ. ჩიქოვანი**, ჩხუტელის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ **თ. ჭარხელაძემ**, ორბელის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ **გ. მუხომეიანი** და სხვ.

სესიამ განხილულ საკითხზე მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

სესიამ სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრის რაიკომის პირველმა მდივანმა **ე. კ. გუგავამ**.

ახალი წელი — კონკრეტულ

სამხმთა წელი

მიღწეულზე დაყრდნობით

ვაშენოთ სწრაფად, ხარისხიანად—ასეთია 23-ე საგზაო სამმართველოს გზის მშენებელთა დევიზი, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს გზის მშენებლობის გასული წლის გეგმა და ახალი 1990 წლისათვის წყალტუბო-ცაგერ-ჩიხარ-ეშის აეროპორტის გზის მონაკვეთზე გასულ წელზე უფრო მეტი სამუშაოს შესრულება დაისახეს მიზნად. გასულ წელს კი 2.899.300 მანეთის სამუშაო აქვთ შესრულებული და ამასთან განსაკუთრებული ყურადღება შესრულებული სამუშაოს ხარისხს დაუთმეს. საგეგმო დავალების შესრულებისათვის წლის მანძილზე კარგად იშრომეს ცალკეულმა უბნებმა, განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სვანეთის უბნის, წყალტუბო-ცაგერის, ცაგერი-გველეშტის გზის მშენებლებმა (სამუშაოთა მწარმოებლები რ. ყურამვილი, გ. ნემსწერიძე რ. ხეცურია).

რუბენ ლაჭყებიანის, ზაურ კვენეტაძის, ავთანდილ კეკელიძის, კარლო ჭაბუკიანის, ჯემალ ლეთოდიანის ბეჯითმა და მონდომებულმა შრომამ. ახალი წელი, ხუთწლედის დამატებითი გეგმით წელი უფრო დიდი ამოცანების წინაშე აყენებს გზის მშენებლებს, ახალი წლის გეგმა 2800 ათასი მანეთის სამუშაოს შესრულებას ითვალისწინებს. აქედან 500 ათასი მანეთი სასოფლო-სამეურნეო კაპიტალურ მშენებლობას მონხარდება. მართალია, გეგმა დამატებითი და საპასუხისმგებლობა, მაგრამ სავესტით რეალური, თუკი ყველა შესაძლებლობას გამოვიყენებთ, საერთო საზრუნავს ერთნაირად გავითავისებთ, კვლავ მოწინავე პოზიციაზე დავდგებით და ნაადრევად სრულიადაც არ მიგვაჩნია განცხადება, რომ მიმდინარე წლის გეგმას კვლავ წარმატებით შევასრულებთ.
ნ. ხვლედიანი,
ცაგერის 23-ე საგზაო სამმართველოს ეკონომისტი.

გამოჯამება

მიგდინარე ზამთარს ჩხუტელის კოლმეურნეობამ უნდა გამოაშთროს 118 სული მსხვილფეხა პირუტყვი. აქედან 21 სული მალაღობროდუქტიული ფურია, რომლებიც ქალის ფერმის შენობაში იზამთრებს, ხოლო 75 სული იჯართაა გაცემული მოსახლეობაზე. კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე თ. ჭარხელაძე), პარტიულმა კომიტეტმა (მდივანი ა. ევაძე) ჯერ კიდევ 17 ავვისტ-

სულადობის უპესებაზე ასლავე უნდა იგრუნონ

ოს გამგეობისა და პარტიული კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე განიხილეს 1989-1990 წლების ზამთრის პერიოდში პირუტყვის გამოაშთრებისათვის მზადების საკითხი და მიიღეს სათანადო ზომები, ყველაფერი გააკეთეს საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი პერიოდის ნორმალური წარმართვისათვის. მაქსიმალურად იქნა გამოყენებული საკვების დამზადების რეზერვები. ფერმაში დაბმული პირუტყვისათვის დღეის მდგომარეობით აქვთ 28 ტონა თივა, 72 ტონა ჩალა და 8 ტონამდე კომბინირებული საკვები. ამასთან იჯართ გაცემული პირუტყვისათვის საჭირო საკვები მიღებული აქვთ მოიჭარებეს. ფერმაში მუშაობს 3 მწველავი ქალი და 2 მომვლელი მწყემსი. ბრიგადირია რაიონული

„კომუნის სხივის“ კონკრეტუ

საბჭოს დეპუტატი, მოწინავე მწველავი ბაბუცა მურცხვალაძე. ადგილზე მისვლით, ფერმის დათვალისებრი და მწყემსებთან გასაუბრებით დაერწმუნდით, რომ კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს უმუშავიათ ფერმაში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, მწყემსთა საყოფაცხოვრებო და შრომითი პირობების გაუმჯობესებისათვის. მეცხოველეობის კომპლექსში

„კომუნის სხივის“ კონკრეტუ

ობასა და საკვების ხარჯვას. მეცხოველეობის მუშაკები ცდილობენ ყოველი დახარჯული კილოგრამი საკვებიდან მაქსიმალური უკუგება მიიღონ და აღწევენ კიდევ გასულ წელს თითოეული ფურისაგან გეგმით უნდა ჩამოეწველათ 2100 კილოგრამი რძე, ჩამრწველეს 2704 კილოგრამი კოლმეურნეობას უნდა ეწარმოებია 490 ცენტნერი რძე, აწარმოა 595 ცენტნერი, სახელმწიფოს ნაცვლად 680 ცენტნერი, მიიყიდეს 675 ცენტნერი. ჩხუტელელ მეცხოველეთა დევიზია ზამთარშიც შეინარჩუნონ მაღალი წველადობა. თუ გასული წლის 10 იანვრისათვის დღიური წველა 84 კილოგრამი იყო, ამ დღეებში 14 მეწველი ძროხიდან 104 კილოგრამს წველიან. მალე დაიწყება დახლოინება და ყოველდღიურად გაიზრდება წველადობა, აქვთ ყველა პირობა შეინარჩუნონ ნამატი. მაგრამ ჩამორჩენა აქვთ სულადობის გეგმის შესრულებაში, ნაცვლად 215 სულია ბუკეთ 118 სული, ამის შედეგად, რომ ვერ შეასრულეს ხორცის წარმოებისა და სახელმწიფოზე მიყიდვის გასული წლის დავალებანი. არის ყველა პირობა, რომ პირუტყვის საკუთარი საკვებით ნორმალურად გამოაშთრებენ. ჩხუტელის კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა გადაუდებელი საზრუნავია პირუტყვის სულადობის საგეგმო დავალების, ხორცის წარმოებისა და სახელმწიფოზე მიყიდვის დავალების შესრულება.
ვლ. დავითიანი.

